ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1412107

ნომერი: AR1239186

თარიღი : 23.07.2014

გაცემის თარიღი : 31.07.2014

გაცნობის თარიღი : 31.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ.წამებული , /ბოჭორმის ქ. N50/18 , (ნაკვეთი N41/17) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალი აბელაშვილი პ/ნ 01017020913
- თბილისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 23 ივლისს # AR1239186 განცხადებით მომართა ჯემალი აბელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ქ. წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18 (ნაკვე. №41/17), შპს "სიგმა–გეო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.041.023) მრავალფუნქციური კომპლექსის (სპორტულ-გამაჯანსაღებელი, ოფისები, სავაჭრო, საცხოვრებელი და სხვა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო 13.06.2014 წლის #1323070 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 13 ივნისიდან 2014 წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლი უთითებს, რომ 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებაში არასწორად აისახა ცალკეული ფართების ტექნიკურ– ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობად 34416.2 კვ.მ. –ს ნაცვლად მიეთითა 32728.7 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 22864.7 კვ.მ.–ს ნაცვლად მიეთითა 21643.2 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომის ფართობად 3256.8 კვ.მ.–ს ნაცვლად დაფიქსირდა 2790.8 კვ.მ. ასევე, გამორჩენილ იქნა გარე გადახურული ავტოსადგომების გეგმის PDF ვერსია.

შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 34416.2 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 22864.7 კვ.მ., ხოლო ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 3256.8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმების PDF ვერსია;
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.05.2014 წლის #1292176 ბრძანებასთან ერთად;
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.